www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 20 სექტემბერი, 2013 წელი. | №3369 (176) | ფასი 50 თეთრი

## ვიღაც ძაბავს ვითარებას...

### სოფელ დიცის საკითხი აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებებში

სოფელ დიცში საოკუპაციო ხაზის გავლების მიზნით მიმდინარე სამუშაოები, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის პრაღაში გამართული შეხვედრის დღის წესრიგში არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მხარეებმა საოკუპაციო ძალების ქმედებებს გვერდი ვერ აუარეს და ერთმანეთს თავიანთი შეფასებები გააცნეს.

**ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საზღვრებზე ვითარებას გამიზნულად ძაბავენ. თუმცა, ეს ყველაფერი იმ გადაწყვეტილებების შედეგია, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. ვერც სამხრეთ ოსეთი და ვერც აფხაზეთი საზღვრების გარეშე ველარ იცხოვრებენ. ქართულ მედიაში ხშირად ამბობენ, რომ ხალხს იტაცებენ და გამოსასყიდს ითხოვენ. მაგრამ, მინდა, გითხრათ, რომ არანაირი გატაცებები არ ხდება. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის დაკავებულებს მხოლოდ ადმინისტრაციულ ჯარიმას ახდევინებენ. საზღვრები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დადგინდა და დღეს ისინი სახელმწიფო საზღვრებია, რაც 2008 წელს სააკაშვილის მოქმედების შედეგია. ამჟამად საზღვარს ძალიან მცირე მონაკვეთებზე ავლებენ, რათა ხალხმა დაინახოს, საზღვარი სად გადის. უკანონო მიმოსვლა სტაბილურობამდე ვერ მიგვიყვანს. ჩვენი მესაზღვრეები იმ უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებენ, რომელიც სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მიანიჭა,“** - ამბობს გირგორი კარასინი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## „ბრალდება გინესის რეკორდის მოხსნას აპირებს“

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გუშინ ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის წინასასამართლო პროცესი განახლდა. საქმე ე.წ. ფიქტიურ დასაქმებას ეხება.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბადრაგირება დილის 8:00 საათზე დაიწყო. ქუთაისის სასამართლოში მერაბიშვილი პოლიციისა და საბადრაგო სამსახურის თანხლებით გადაიყვანეს

გუშინდელ პროცესზე სასამართლოს მტკიცებულებათა ნუსხა ორივე მხარემ გააცნო.

მტიცებულებათა ნუსხის წარდგენის შემდეგ დაცვის მხარემ მოსამართლეს ორი შუამდგომლობით მიმართა, მაგრამ მოსამართლემ არცერთი მათგანი არ დააკმაყოფილა.

დაცვის მხარემ დაკავებისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ განჩინებების ბათილად ცნობა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. მოსამართლემ არც ბრალდების შუამდგომლობა გაიზიარა. პროკურორები დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას ითხოვდნენ.

ამასთან, პროკურორმა რეზო თოფურიამ დარბაზში ფოტო და ვიდეოგადაღების აკრძალვა მოითხოვა.

თოფურიას თქმით, პროცესი მხოლოდ «საზოგადოებრივ მაუწყებელს» უნდა გადაეღო, ხოლო დარბაზში მყოფ სხვა პირებს გადაღება უნდა შეეწყვიტათ.

თოფურიას შუამდგომლობას მერაბიშვილის დაცვის მხარე გამოეხმაურა. ადვოკატ გიორგი გელხაურის თქმით, მოსამართლე პროცესზე ფოტო-ვიდეოგადაღებას აღნიშნული პროცესის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო ვერ შეზღუდავდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## მრავალპარტიული პრეზიდენტი

### გიორგი მარგველაშვილმა პროგრამა წარადგინა



გუშინ სპორტის სასახლე სავსე იყო. კოალიცია «ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდასაჭერად სპორტის სასახლეში პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტის წევრები, საპარლამენტო უმრავლესობა და ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლებიც მივიდნენ.

გიორგი მარგველაშვილმა გუშინ წინასაარჩევნო პროგრამა წარადგინა. თუმცა საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსვლამდე სპორტის სასახლეში შეკრებილებს ბიძინა ივანიშვილმა მიმართა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

## აშშ-ირანის ურთიერთობებში დათბობის ელემენტები გამოჩნდა

ივა შილაკაძე

ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ, რომელიც მოვალეობების შესრულებას აგვისტოში შეუდგა, ამერიკულ ტელეარხ «ენ-ბი-სის“ ინტერვიუ მისცა, რომელშიც ბარაკ ობამას მიერ მისთვის გაგზავნილ წერილს «პოზიტიური და კონსტრუქციული“ უწოდა. ამას გარდა, მან პირობა დადო, რომ ირანი არასდროს შექმნის ბირთვულ იარაღს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე



ჰასან როუჰანი

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6643⇩ |
| 1 ევრო | 2.2110⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5933⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.8622⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.0433⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 31°C - 20°C |
| ქუთაისი | 33°C - 20°C |
| ზუგდიდი | 32°C - 21°C |
| ბათუმი | 27°C - 21°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი. | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9771987912100

## პეტრიაშვილის ბრინჯაო და გუნდური მესამე

გიგა გურასაშვილი

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატამდე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი ერთგვარი პრევიუს სახით მიმოიხილავდა მონაწილე ქვეყნების შესაძლებლობებს, მათ შანსებს. თვალშისაცემი იყო საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებზე გამახვილებული ყურადღება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე



პეტრიაშვილი ერთადერთია, რომელმაც საქართველოს ნაკრებს მედალი მოუტანა

## ლეპაჟის მთვარეზე! ანუ, თბილისის თეატრალური ფესტივალი იწყება



სცენა მაია კლიჩევსკას სპექტაკლიდან მაკბეტი˝

სოფიო ნემსაძე

დღეს საღამოსთბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წლევანდელი პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩენილ და სახელგანთქმულ სტუმართან ერთად ხსნის. რობერტ ლეპაშის დასის წარმოდგენა - მთვარის შორეული მხარე“ თეატრალური პანტასმაგორიული წარმოდგენაა, რომელსაც თბილისელი თეატრალები დიდი მოლოდინით ელიან.

რობერტ ლეპაჟი კანადელი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი და მოკლედ, თანამედროვეობის თეატრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პერსონაა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

## სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს მთავრობა სრულად დააფინანსებს

მინისტრთა-კაბინეტი მცირე ხნით შესვენების შემდეგ ისევ მთავრობის კანცელარიაში შეიკრიბა. კანცელარიის მე-12 სართულზე მიმდინარე რემონტის გამო მთავრობის სხდომა სექტემბრის პირველ ნახევარში ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში იმართებოდა.

გუშინდელ სხდომაზე მთავრობამ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტს მხარი დაუჭირა. როგორც მედიას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ უთხრა, პროექტი, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად განხორციელდება, საქართველოს რეგიონებში 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, გადაუდებელი დახმარების ერთი კლინიკის მშენებლობაა დაგეგმილი. პროექტს სახელმწიფო დააფინანსებს.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, მთავრობამ საქართველოს 60 მუნიციპალიტეტს ყველაზე კრიტიკული წერტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სთხოვა. შედეგად, როგორც მინისტრი ამბობს, ყველა მუნიციპალიტეტში თითო ამბულატორია აშენდება, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე კი - დამატებით 20 ამბულატორიული დაწესებულება. მინისტრის ინფორმაციით, ყველაზე უფრო სუსტ წერტილში, ტყვიავთან, სადაც ცხინვალის რეგიონიდან მომავალი პაციენტების დიდი ნაკადია, ურეკისა და ბორითის კლინიკების ანალოგი აშენდება.

დავით სერგეენკოს ინფორმაციით, მშენებლობები რამდენიმე დღეში დაიწყება.

სერგეენკო მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში განვითარებულ მოვლენებსაც ეხმიანება. მინისტრის თქმით, სამინისტრო წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ იაშვილის კლინიკაში არა მხოლოდ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, არამედ რეალური პრობლემები, რაც შეიძლებოდა ამ უხეშ ცვლილებებს მოჰყოლოდა, გააზრებული არ იყო. როგორც სერგეენკო აღნიშნავს, კლინიკის საკითხს ჯანდაცვის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფი სწავლობს, რომლის მასალებშიც საყურადღებო და მნიშვნელოვანი ფაქტებია აღწერილი. **სამკურნალო პროცესი კი ამჟამად შეუფერხებლად მიმდინარეობს,“** - დასძენს მინისტრი.

მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ჟურნალისტებს გააცნო განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ. მისი თქმით, ზაფხულში კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, მთავრობამ პროფესიული სასწავლებლების დაფინანსების წესში ცვლილებები შეიტანა. მინისტრის ინფორმაციით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ სასწავლებლებში 2013-2014 სასწავლო წლიდან სტუდენტთა დაფინანსებას მთლიანად სახელმწიფო უზრუნველყოფს. დაფინანსებას ყველა ის სტუდენტი მიიღებს, ვინც ოქტომბერში დანიშნულ ტესტირებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარს გადალახავს.

სანიკიძის თქით, აქამდე დაფინანსების ვაუჩერული სისტემა მუშაობდა, რომლითაც 1 სტუდენტზე 1000 ლარის გამოყოფა იყო გათვალისწინებული. მინისტრის შეფასებით, ეს არასაკმარისი და არაადეკვატური თანხა იყო, რომელიც ხშირად მხოლოდ პირველი და მეორე საფეხურის დაფინანსებას ჰყოფნიდა. მისი თქმით, სწავლების სრული კურსი შეიძლება, ხუთი საფეხურისგან შედგებოდეს. **ჩვენი გადაწყვეტილებით პროგრამები გადაიხედა. დაფინანსების მაქსიმალური ღირებულება განისაზღვრა და შესაბამისად, დაფინანსების წესი შეიცვალა,“** - აღნიშნავს თამარ სანიკიძე.

მინისტრის ინფორმაციით, დღეს საქართველოში 14 პროფესიული სასწავლებელი მოქმედებს. გარდა ამისა, უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ მედიას რთველის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. **„რთველი უკვე აქტიურ ფაზაშია შესული. ადგილებზე 22 აგვისტოდან სამინისტროს და ღვინის ეროვნულ სააგენტოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლები ჰყავს მივლენილი. კომპანიები დიდ ინტერესს გამოხატავენ. ყურძენს 67 კომპანია იღებს. გლეხებმა და ფერმერებმა 49 ათასი ტონა ყურძენი უკვე ჩააბარეს. ყოველდღიურად კი 4500 ტონა ყურძენს აბარებენ. რთველი უახლოეს ხანში დასრულდება,“** - აღნიშნავს შალვა ფიფია და დასძენს, რომ კომპანიებმა კარგად ისარგებლეს შეღავათიანი აგროკრედიტით, რომლის ფარგლებშიც 42 მილიონ ლარზე მეტი გამოიყოფა.

რაც შეეხება ყურძნის ჩაბარების ფასს, საფერავის საშუალო ღირებულებაა 1,18 ლარია, ხოლო რქაწითელის - 1,05 ლარი.

***საკუთარი ინფორმაცია***



შვილები ზვიადი, ზაზა, რძლები მარინა, მაია, შვილიშვილი ლიზი აბრამიშვილი, და ჯიანეტა, ძმა ნოდარი ქურციკიძე. დისშვილები ბესიკი, დათო მიქიანები, გია სამხარაძე, ძმისშვილები ბაჩია, გეგა, ნინო ქურციკიძეები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**კუკური გიორგის ასული ქურციკიძე**

პანაშვიდები: 21 და 22 სექტემბერს

დაკრძალვა: 22 სექტემბერს 14 საათზე საჩხერის რაიონი სოფელი სარეკი.

# მრავალპარტიული პრეზიდენტი

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრმა საკუთარ თავზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის სათქმელს ყოველთვის გახსნილად ამბობს, ყოველთვის გულწრფელია და კულუარული გადაწყვეტილებების მიღება არ სჩვევია.

ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას ამჯერად საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდაჭერა სთხოვა.

**გავკადნიერდები და გეტყვით, მომავალშიც მენდეთ,“** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, რადგან მან გიორგი მარგველაშვილი დაასახელა საპრეზიდენტო კანდიდატად, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ ის მიაჩნია ერთადერთ კანდიდატად.

**„თქვენ იცით, რომ მე ჩემს სათქმელს ყოველთვის ღიად და გახსნილად ვამბობ. ყოველთვის გულწრფელი ვარ და კულუარული გადაწყვეტილებები არ მჩვევია. სიცრუე არასდროს დამჭირვებია, ეს ჩემი ხალხისთვის არასდროს მიკადრებია.**

**და რადგანაც ჩვენი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დავასახელე, ის მიმაჩნია სწორედ ერთადერთ კანდიდატად, რომელიც უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი,“** - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა დასძინა, რომ მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება, მისთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს.

ივანიშვილის განცხადებით, მან თავისი გუნდი «აბსოლუტურად სწორად შეარჩია“ და ამაში არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო დარწმუნდა.

**„ჩემი მიზანი იყო, დაგვემთავრებინა ავტორიტარული რეჟიმი და თავისუფლება მოგვეპოვებინა. ეს იყო ჩემი მთავარი დანაპირები და მე ეს დანაპირები შევასრულე. დღეს ჩვენ, ყველანი, თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. მადლობელი ვარ ჩემი გუნდის, რომელიც აბსოლუტურად სწორად შევარჩიე და ამაში არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი. ეს ერთი წელი ბეწვის ხიდზე ვიარეთ ხელისუფლებამაც და ხალხმაც. ჩვენ მოვახერხეთ ცხოვრება კოჰაბიტაციის რეჟიმში - ეს ახალი სიტყვაა და თანაარსებობას ნიშნავს, რაც სრულიად უცხო იყო ჩვენი ქვეყნისთვის და შეუძლებლადაც გვეჩვენებოდა. ჩვენ ეს შევძელით და სიძლიერეც სწორედ ეს არის,“** - განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა კოალიციის ერთწლიანი მუშაობა შეაფასა და მთავრობის მიღწევებზე ისაუბრა. ივანიშვილმა გაიხსენა, საპარლამენტო არჩევნების წინ **როგორ უშენდნენ ქვებს ყველასთვის საყვარელ და საამაყო ადამიანსაც კი - კახა კალაძეს, სხვებსაც“** და აღნიშნა, რომ ახლა პოლიცია მთლიანად დეპოლიტიზებულია.

**„ამ ერთ წელიწადში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ პოლიცია მთლიანად დეპოლიტიზებულია და ხალხის სამსახურში დგას და ეს არ იყო ადვილი საქმე. ყველას გვახსოვს შარშანდელი წინასაარჩევნო პერიოდი, როგორ უსწორდებოდნენ ჩვენს მხარდამჭერებსა და აქტივისტებს „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერბრიგადები. მაშინ პოლიცია ხალხს კი არ იცავდა, არამედ ხშირად თავადაც აღმართავდა ხელს ოპოზიციურად განწყობილ საკუთარ მოქალაქეებზე. ძნელია იმის დავიწყება, როგორ უშენდნენ ქვებს ყველასათვის საყვარელ და საამაყო ადამიანსაც კი - კახა კალაძეს, სხვებსაც, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ თვალი არ დახუჭეს უსამართლობაზე და ხმამაღლა აკრიტიკებდნენ მოძალადე ხელისუფლებას. პოლიცია იცავს ოპოზიციაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებსა და აქტივისტებს, რადგან ბევრია მათგან გამწარებული და ჯერ კიდევ დიდია ანგარიშსწორების სურვილი,“** - აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ოქტომბერში ისეთი არჩევნები ჩატარდება, როგორიც **ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ეკადრება.“**

**ჩვენ ჩავატარებთ თავისუფალ, უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხის არჩევნებს, ჩვენ ჩავატარებთ ისეთ არჩევნებს, როგორიც ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ეკადრება,“** - განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან, პრემიერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ის პოლიტიკას დატოვებს და სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლებს.

ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამსოვლის შემდეგ სცენაზე გიორგი მარგველაშვილს მოუხმო. «ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა 30-წუთიანი სიტყვა თანაგუნდელებზე საუბრით დაიწყო.

**ჩვენ შევინარჩუნეთ სტაბილურობა, ეს უპირველეს ყოვლისა პოლიციის დამსახურებაა. პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ფონზე დავიწყეთ სოციალურად ორიენტირებული უპრეცედენტო პოლიტიკის განხორციელება,“** - განაცხადა მარგველაშვილმა.

მან ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ **ადამიანებმა იგრძნეს, რომ მოქალაქეების ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ზრუნავს.“** მარგველაშვილმა პროკურატურის **მიზანმიმართულ მუშაობაზეც“** გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ურთულეს პირობებში პროკურატურა ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს და სამართლებლივი გარემოს ევროპულ კულტურას ამკვიდრებს.

გარდა თანაგუნდელების შექებისა, გიორგი მარგველაშვილმა თავის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და სპორტის სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო.

**პრეზიდენტი დაიცავს თითოეული ადამიანის უფლებებს. პრეზიდენტი ჩაერთვება ქვეყანაში საგარეო ინვესტიციების მოზიდვასა და საქართველოს, როგორც სანდო პარტნიორის რეპუტაციის შექმნაში. პრეზიდენტი იქნება მთავრობისა და პარლამენტის პარტნიორი და ამ თანამშრომლობის ძირითადი აქცენტი გაკეთდება საზოგადოების ჩართულობაზე. საქართველოს პრეზიდენტი იზრუნებს საერთაშორისო არენაზე მოახდინოს ქართული კულტურის პოპულარიზაცია,“** - აცხადებს «ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი.

ამასთან, მარგველაშვილმა ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად სწორედ ის სფერო დაასახელა, რომელიც ოპონენტების მხრიდან მთავრობის კრიტიკის მთავარი მიზეზია.

მისი თქმით, ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური გარემოს შექმნა, არსებული პოტენციალის გაძლიერება, ინვესტიციების მოზიდვა, ბაზრების გაფართოება და საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში უფრო ინტენსიური ჩართვა. ასევე, მარგველაშვილმა განაცხადა, რომ **სრულიად ახალი დასაქმების ეკონომიკა შეიქმნება.“**

გარდა ამისა, მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა პრეზიდენტის უმთავრესი ამოცანაა და ქვეყნის უსაფრთხოების გრძელვადიანი გარანტია ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციით მიიღწევა.

**„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გრძელვადიან გარანტიას თავისუფალი სამყაროს სრულფასოვანი წევრობა წარმოადგენს, რაც ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციით მიიღწევა. უნდა მოხდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის და ეფექტიანობის მუდმივი ზრდა, ნებისმიერ თანამედროვე საფრთხესა და გამოწვევასთან გასამკლავებლად.**

**აუცილებელია საგარეო პოლიტიკის გააქტიურება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, საერთაშორისო და რეგიონულ პარტნიორებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების, რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების, საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტივობის ზრდის, არაღიარების პოლიტიკის გაგრძელების და ქვეყნის დეოკუპაციის უზრუნველსაყოფად. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციას და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ თანამემამულეებს ვთავაზობთ, ერთად ვაშენოთ წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფო,“** - აღნიშნა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა იმ პრიორიტეტებზეც ისაუბრა, რაც მას გაპრეზიდენტების შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების, ჯანდაცვის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, სასამართლოს, ბიზნესისა და სხვა სფეროებში ექნება.

გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო პროგრამის წარდგენა სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით დასრულდა. შემდეგ კი მარგველაშვილის საპროგრამო სიტყვა მისმა თანაგუნდელებმა შეაფასეს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა დღეს გიორგი მარგველაშვილს ერთგვარად ესტაფეტა გადასცა.

**„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს მოქალაქეებისთვის. ჩვენ ქართველ ხალხს შევთავაზეთ კოალიციის საუკეთესო კანდიდატი იმ ტვირთის ბოლომდე და სწორად სატარებლად, რომელსაც კოალიცია შეჰპირდა ხალხს. აუცილებელია გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერა. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს ერთგვარად ესტაფეტა გადასცა გიორგი მარგველაშვილს. დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ ესტაფეტას მიიღებს წარმატებულად, გაიმარჯვებს არჩევნებში. ამით კი საქართველო მიიღებს ყველა მოქალაქის პრეზიდენტს, რითიც დასრულდება ერთპარტიული პრეზიდენტის ეპოქა,“** - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარეს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ყველა მოქალაქის სიამაყე და დამცველი იქნება.

**«პრეზიდენტი ჩვენი საერთო სიამაყე უნდა იყოს და მარგველაშვილი სწორედ ასეთი პრეზიდენტი იქნება,“** - განაცხადა უსუფაშვილმა.

„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის პირველივე ტურში დამაჯერებლად გამარჯვებაში დარწმუნებულია საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე.

მისი თქმით, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არასდროს არაფრის სჯერათ.

**„ათეული ან, შეიძლება, ასეული ადამიანია, ვისაც აქვს იმედი, რომ მეორე ტური იქნება. მე დარწმუნებული ვარ და შემიძლია, ძალიან ხმამაღლა განვაცხადო, რომ პირველ ტურში გიორგი მარგველაშვილი დამაჯერებლად გაიმარჯვებს,“** - აღნიშნა დავით საგანელიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ გიორგი მარგველაშვილის სიტყვა პროგრამული იყო, რასაც საპრეზიდენტო კანდიდატებისგან მიჩვეულები არ ვართ.

**„როგორც წესი, შოუებს დგამენ ხოლმე, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ტონის მიცემა მთელი ამ კამპანიისთვის. ითქვა ყველაფერი, რასაც „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი აპირებს პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, როგორ საქართველოს ხედავს და როგორი საქართველოსთვის ხმის მიცემას სთხოვს მოსახლეობას. დარწმუნებული ვარ, ამომრჩეველი ზუსტად ისე, როგორც პირველ ოქტომბერს, ამჯერადაც გააკეთებს გონიერ არჩევანს და ჩვენ დავასრულებთ „ნაციონალური მოძრაობის“ გაცილების ციკლს და „ქართული ოცნების“ მმართველობის დასაწყისს, რომელიც პირველი ოქტომბრიდან დავიწყეთ,“** - აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ მანანა კობახიძის აზრით, მარგველაშვილის გამარჯვება არა მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“, არამედ ქართველი ხალხის გამარჯვებაც იქნება.

**„ეს იქნება შანსი იმისა, რომ შეიქმნას სტაბილური გარემო, ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს კოჰაბიტაცია და ჩვენ, საპარლამენტო უმრავლესობამ, მთავრობამ და პრეზიდენტმა, რომელსაც ერთი პროგრამა და ერთი მიზანი გვექნება, ვაკეთოთ საქმეები ხალხის საკეთილდღეოდ,“** - განაცხადა მანანა კობახიძემ.

ეკა ბესელიას შეფასებით კი, გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პირობებში მთავარი ღირებულება ადამიანი იქნება.

**„ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამის დღევანდელი პრეზენტაცია საუკეთესო სათქმელი და გზავნილია ქართველი ხალხისთვის. გაცილებით მეტი იქნება გაკეთებული, ვიდრე ამ ათი თვის განმავლობაში გაკეთდა და ყველა ის ვალდებულება, რომელიც ჩვენს გუნდს ქართველი ხალხის წინაშე აქვს აღებული, აუცილებლად შესრულდება. ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი იყო ის, რაც გიორგი მარგველაშვილმა გაახმოვანა. კერძოდ ის, რომ ის იქნება ყველას პრეზიდენტი და მე ამაში დარწმუნებული ვარ, ისევე როგორც იმაში, რომ მარგველაშვილის პრეზიდენტობის პირობებში მთავარი იქნება ადამიანის უფლებების დაცვა და ადამიანი იქნება მთავარი ღირებულება,“** - აღნიშნა ბესელიამ და დასძინა, რომ საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი იწყება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მეპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ვიღაც ძაბავს ვითარებას...

პირველი გვერდიდან

მან საქართველოს მთავრობას სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ ხელისუფლებასთან პირდაპირი მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა და საუბრის ადგილიც კი მიუთითა. როგორც კარასინი აღნიშნავს, ამისთვის ჟენევის დისკუსიები მნიშვნელოვანი ფორმატია.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, კარასინის თქმით, რუსეთი შემხვედრ ნაბიჯებს დგამს. მინისტრის მოადგილე აზუსტებს, რომ ეს ვაჭრობას, ჰუმანიტარულ თემას, ავიარეისებს და სახმელეთო ტრანსპორტს ეხება. **ჩვენ იმ საკითხების შესახებ არ ვსაუბრობთ, რომლებიც ჩვენთვის წითელ ხაზს წარმოადგენს, მაგრამ დღეს საზღვრების თემა წამოიჭრა და მოსაზრებები გავცვალეთ,“** - აღნიშნავს კარასინი.

ზურაბ აბაშიძემ კარასინის წინაშე, საქართველოს მთავრობის სახელით, ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო ღრმა შეშფოთება გამოხატა. აბაშიძის შეფასებით, ამჟამინდელი ქმედებები საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარული ნორმების უხეში დარღვევაა.

აბაშიძე კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ გრიგორი კარასინთან დაგეგმილი ყოველი შეხვედრის გამართვამდე, ერთი-ორი დღით ადრე, აუცილებლად ხდება ანალოგიური ინციდენტები, რაც, ზურაბ აბაშიძის თქმით, ბევრ კითხვას ბადებს.

პრაღაში შეხვედრის გამართვამდე კი რუსეთის საოკუპაციო ძალების ქმედებები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ შეაფასა. როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, დიცში შექმნილი ვითარება აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატის დადებით დინამიკას ნამდვილად უშლის ხელს.

რაც შეეხება საოკუპაციო ძალების მიერ ბოძების წაღების საკითხს, ფანჯიკიძე ამბობს, რომ გამყოფ ხაზზე მავთულხლართები და თხრილები 2011 წლიდან კეთდება, ამიტომ მინისტრი ოპტიმისტურად არ არის განწყობილი. **რადგან ამ წუთას შეჩერებულია, ვერ ვიტყვი, რომ მომავალში არასდროს განმეორდება. იმედი მაქვს, მოვლენები დადებითად განვითარდება, მაგრამ ეს ჩემი ფრთხილი ოპტიმიზმია. სამწუხაროდ, რეალობა სხვა რამეზე მეტყველებს,“** - აღნიშნავს მინისტრი.

მოგვიანებით ქართული მხარის პოზიცია ფანჯიკიძემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს გააცნო. ფანჯიკიძის თქმით, დიცში მდგომარეობა შედარებით განმუხტულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ არ გამწვავდება. მინისტრის შეფასებით, ის, რაც დიცში ხდება, საერთაშორისო ნორმების დარღვევაა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, შსს-ს წარმომადგენელმა შეხვედრის მონაწილეებს ამა თუ იმ სოფელში შექმნილი ვითარების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდა. ფანჯიკიძემ კი პარტნიორებს სოლიდარობის გამოცხადების და განცხადებების გაკეთებისკენ მოუწოდა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი შაბათს შეხვედრებს გაერო-ში გამართავს, სადაც აღნიშნულ საკითხს განიხილავენ. **ეს თემა ჟენევის დისკუსიასთან პირდაპირ კავშირშია. პირველ სამუშაო ჯგუფში სწორედ უსაფრთხოების საკითხები განიხილება,“** - აღნიშნავს ფანჯიკიძე.

საოკუპაციო ხაზის გავლების საკითხს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი ეხმიანება. მისი შეფასებით, მაშინ, როდესაც ქართული მხარე რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას ცდილობს, ბარიკადები და ხალხის ერთმანეთისგან გაყოფა მიუღებელია, რაც საერთაშორისო ნორმების დარღვევაა. **ასევე, უნდა დავფიქრდეთ იმ ჰუმანიტარულ შედეგებზე, რასაც ეს ნაბიჯი მოიტანს. ეს საკითხი ჟენევის მოლაპარაკების ყველა განხილვაში უნდა შევიტანოთ. ბარიერების აშენება მიუღებელია, დროთა განმავლობაში ყველა ბარიერი ირღვევა, ბერლინის კედლის მსგავსად,“** - აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

საოკუპაციო ძალების ქმედებების შესახებ საუბრობს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. მან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს მიმართა: **ხალხო, ეს ერთი სამინისტროს პრობლემა არ არის. ამ საკითხში მთელი მთავრობაა ჩართული. დიპლომატიურ კორპუსს ინფორმაცია მიეწოდება. ჩვენ საქმე გვაქვს უტიფარ, ცინიკურ, ბრუტალურ მხარესთან, ისეთთან, როგორიც არის რუსეთის საოკუპაციო ძალა. ჩემთვის გაუგებარია ის განცხადება, რომელიც სააკაშვილმა გააკეთა. ის 400 მეტრის გადმოწევის შესახებ საუბრობს, მაშინ როდესაც მან ოკუპანტებს კილომეტრები ჩააბარა და ეს მეტრებიც იმ კილომეტრების ნაწილია. სააკაშვილმა, თავისი ავანტურისტული ქმედებით, რუსეთს საშუალება მისცა, ოკუპაცია მოეხდინა, რაც ახლაც გრძელდება. ოკუპაცია ერთჯერადი აქცია არ არის. ეს პროცესია. სამწუხაროდ, რუსეთს მოტყუების საშუალება მივეცით.“**

სახელმწიფო მინისტრის თქმით, თუკი მედია განცხადებებს ლაზარეს ულვაშებივით («დაკარგული სამოთხედან“) ითვლის, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შესაბამისმა სამინისტრომ შეფასება უკვე გააკეთა. მიუხედავად ამისა, როგორც ზაქარეიშვილი აღნიშნავს, მავთულხლართებს მაინც ავლებენ და ოკუპაცია მანამ გაგრძელდება, სანამ დეოკუპაცია არ იქნება. **ოკუპაციას როგორც სააკაშვილი ვერ უმკლავდებოდა, ისე ჩვენ ვერ ვუმკლავდებით,“** - ამბობს ზაქარეიშვილი.

რაც შეეხება მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ზაქარეიშვილის თქმით, მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა მოგვარდა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, მთავრობას ადგილზე მოსახლეობის შენარჩუნება სურს. **ოკუპანტებს ჩვენს ახალგაზრდებს ხომ არ შევახოცავთ. საქართველოს მთავრობა მავთულხლართების გაბმას მოსახლეობის ადგილზე შენარჩუნებით პასუხობს,“** - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი.

*საკუთარი ინფორმაცია*

# „ბრალდება გინესის რეკორდის მოხსნას აპირებს„

პირველი გვერდიდან

ბრალდებულმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა კი აღნიშნა, რომ პროცესს თავადაც იღებს და მას ამის კონსტიტუციური უფლება აქვს.

**ძალიან ბევრ ადამიანს აინტერესებს, რა ხდება სასამართლო დარბაზში. მეც ვსარგებლობ მობილური ტელეფონით და ვახორციელებ გადაღებას. მე ეს მჭირდება იმისთვის, რომ სტრასბურგში ჩვენი უფლებები დავიცვათ. პროკურატურა იმ 600 000 ოჯახს უპირისპირდება, სადაც დასაქმების აგენტები იყვნენ შესულები და სამუშაოს მაძიებლები გამოკითხეს,“** - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

მოსამართლემ თეიმურაზ დგვარელმა განმარტა, რომ ფოტო-ვიდეოგადაღებაზე შეზღუდვა იმ შემთხვევაში არ იმოქმედებს, თუ გადაღების მსურველები სასამართლოს წინასწარ განცხადებით მიმართავენ. მანამდე კი მოსამართლემ არაუფლებამოსილ პირებს გადაღების შეწყვეტა მოსთხოვა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის შეფასებით, პროკურატურა ფოტო და ვიდეოგადაღების შეზღუდვას იმიტომ ითხოვს, რომ საქმე შეკერილია.

**პროკურატურამ სასამართლო სხდომის მაქსიმალურად დახურვა მოინდომა, რადგან ადვილი არ არის შეკერილი საქმით საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა,“** - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

პროკურატურა საქმის არსებით განხილვაზე მოწმეთა უპრეცედენტო რაოდენობის - 3969 ადამიანის დაკითხვას ითხოვს.

დაცვის მხარემ პროკურატურას ურჩია, მოწმეები საკუთარი ინიციატივით შეერჩია და 3969 ადამიანიდან მცირე რაოდენობა დაეტოვებინა.

ყოფილი პრემიერის ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილის თქმით, პროკურატურა გინესის რეკორდის მოხსნას აპირებს. ადვოკატი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოწმეთა 99.9 პროცენტი თავის ჩვენებებში ვანო მერაბიშვილს და ზურაბ ჭიაბერაშვილს არ ახსენებს.

**ბუნებაში არ არსებობს პროცესი, სადაც 3969 მოწმე დაკითხულა. როგორც ჩანს, აღნიშნული საქმით ბრალდება გინესის რეკორდის მოხსნას აპირებს. საინტერესოა, თვითონ თუ სჯერათ, რომ სასამართლო პროცესზე ამდენი ადამიანის დაკითხვას შეძლებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მოწმეთა 99.9 პროცენტი თავის ჩვენებებში არც მერაბიშვილის და არც ჭიაბერაშვილის სახელს და გვარს არ ასახელებს,“** - აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, თუ ბრალდების მხარე სასამართლო სხდომაზე ყველა მოწმეს წარმოადგენს, მათი დაკითხვა ვანო მერაბიშვილის საპატიმრო ვადის ამოწურვამდე ვერ მოესწრება.

**„ბრალდების მხარეს 3 969 მოწმე ჰყავს გამოძახებული. ყველა მოწმე რომ დაიკითხოს და ვივარაუდოთ, რომ ერთ პროცესზე 10 მოწმის დაკითხვა მოხერხდეს, ამ პროცესს 300 დღე დასჭირდება. რამდენად რეალურია ყველა მათგანის დაკითხვა, ვერ ვიტყვი, თუმცა ბრალდების მხარემ შესაძლოა, მოწმეთა რაოდენობა შეამციროს, რადგან მათ დაკითხვას დასჭირდება თებერვლამდე პერიოდი, რაც ვანო მერაბიშვილის საპატიმრო ვადებში ვერ მოესწრება,“** - განაცხადა ჩივიაშვილმა.

ადვოკატ გიორგი გელხაურის განცხადებით, დაცვის მხარემ მოწმეების ამორიცხვისთვის შუამდგომლობა დააყენა, მაგრამ უარი მიიღო.

**დავაყენეთ შუამდგომლობა მტკიცებულებების ამორიცხვისთვის, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, მოწმეთა დაკითხვის ოქმები უზომოდ და უაზროდ გაბერილია. ეს არის 3969 მოწმის დაკითხვის ოქმი. მათი დაკითხვა, ფაქტია, რომ არსებითი განხილვის დროს ვერ მოხერხდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიშუამდგომლეთ, რომ მოწმეები ამოერიცხათ, მაგრამ უარი მივიღეთ,“** - აცხადებს გიორგი გელხაური.

არასამთავრობო ორგანიზაცია «პოლიტიკის ანალიზის ცენტრის“ მკვლევარ ოთო კახიძის აზრით, მტკიცებულებები არ შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ, რადგან ეს პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებას გამოიწვევს.

**მიგვაჩნია, რომ ეს მტკიცებულებები არ შეიძლება, დასაშვებად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან გამოიწვევს აპრიორი პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებას და მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლას,“** - აღნიშნა კახიძემ.

პროკურორი კი ამბობს, რომ ბრალდების მხარის გადასაწყვეტია ის, თუ როგორ მოახერხებს ამდენი მოწმის დაკითხვას.

**უშუალოდ ბრალდების გადასაწყვეტია, როგორ მოახერხებს ამ ხალხის პროცესზე მიყვანას და მათ დაკითხვას დროის თვალსაზრისით. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ის მნიშვნელოვანი მოწმეები, რომლებიც გვყავს, მივიყვანოთ და დავკითხოთ პროცესზე და დანარჩენს უკვე ის გვიჩვენებს, თუ როგორ წარიმართება საქმე,“** - განაცხადა პროკურორმა ქეთევან ჩოჩუამ.

ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის წინასასამართლო სხდომა ქუთაისის საქალაქო სასამართლოშ 25 სექტემბერს განახლდება.

# ბაჩო ახალაიას საქმეზე პროკურორი შეიცვალა

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულთა საქმეზე დასკვნითი პროცესი უნდა გამართულიყო, მაგრამ ამჯერად პროკურორის შეცვლის მიზეზით გადაიდო.

საქმე ის არის, რომ ბრალდების მხარის პროკურორი რევაზ ნადოი სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო პროცესებს რამდენიმე დღეა, აცდენს. წინა პროცესზე ნადოის გამოუცხადებლობის მიზეზი არ განუმარტავს, რის გამოს ის სასამართლომ 300 ლარით დააჯარიმა. გუშინდელ პროცესზე კი, ნადოის ნაცვლად, პროკურორი ია დარჯანია მივიდა. დარჯანიას თქმით, ნადოი ავად არის და ამ მოტივით პროცესს ვერ ესწრება.

მოსამართლემ ია დარჯანიას შეკითხვით მიმართა, აპირებდა თუ არა სერგო თეთრაძის საქმეზე პროკურორ რევაზ ნადოის ჩანაცვლებას, რაზეც დარჯანიას პასუხი არ ჰქონდა. მისი თქმით, ნადოის უკურნებელი სენი არ სჭირს, მაგრამ მისთვის უცნობია, როდის შეძლებს იგი პროცესებზე დასწრებას.

დარჯანიამ მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა და საქმის მასალების გასაცნობად გონივრული ვადა მოითხოვა. მოსამართლემ პროკურორ დარჯანიას შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და პროცესი 23 სექტემბერს დანიშნა.

პროკურორის ცვლილება «ციხის ბუნტის“ დასკვნითი პროცესის გადადების მიზეზიც გახდა. პროკურორმა ია დარჯანიამ, ვინაიდან იგი საქმეში ახალი ჩართულია, მასალების გასაცნობად ამჯერადაც 30-დღიანი ვადა მოითხოვა, მაგრამ აღნიშნული შუამდგომლობა დაცვის მხარის ადვოკატებმა გააპროტესტეს.

ახალაიას ადვოკატების განცხადებით, რადგან პროცესი დასკვნით ეტაპზეა, წინა პროკურორს რევაზ ნადოის დასკვნითი სიტყვა უკვე მომზადებული უნდა ჰქონდეს, ამიტომ ახალ პროკურორს დასკვნითი სიტყვის გასაცნობად ორ-სამდღიანი ვადა უნდა მიეცეს.

ერთ-ერთი ადვოკატის მალხაზ ველიჯანაშვილის თქმით, 17 სექტემბერს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე რევაზ ნადოიმ სასამართლოს პროცესის გადადების შუამდგომლობით მიმართა, მიზეზად კი ბაჩო ახალაიას პროცესისთვის დასკვნით სიტყვაზე მუშაობა დაასახელა. აქედან გამომდინარე, ადვოკატები ვარაუდობენ, რომ ნადოის დასკვნითი სიტყვა მომზადებული უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება ახალი პროკურორის მიერ 30-დღიანი ვადის მოთხოვნას, ეს, ადვოკატების თქმით, პროცესის ხელოვნურად გაწელვას ემსახურება.

ამის მიუხედავად, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და პროკურორს საქმის მასალების გასაცნობად ათდღიანი ვადა მისცა.

შემდეგი პროცესი, რომელზეც მხარეებმა დასკვნითი სიტყვები უნდა წარმოთქვან, 30 სექტემბერს, 16:00 საათზე ჩატარდება.

ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრის, ამჯერად პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაიას განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ წინა პროკურორის რევაზ ნადოის ავადმყოფობის დამადასტურებელი დოკუმენტი სასამართლოს არ გააჩნია, არსებობის იმის თქმის საფუძველი, რომ პროცესები ხელოვნურად იწელება.

**წინა სხდომაზე რევაზ ნადოიმ მოითხოვა, რომ შემდგომი პროცესი, რომელზეც დასკვნითი სიტყვა უნდა წარმოეთქვა, 10 ოქტომბერს გამართულიყო. ახლა კი ბრალდების მხარე 30-დღიან ვადას ითხოვს. მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურ კალენდარზეა მორგებული. ასეთ შემთხვევაში შეიძლება, ქალბატონი პროკურორიც გახდეს ავად. ეს მოვლენები მაძლევს იმის თქმის საფუძველს, ვიფიქრო, რომ საქმის გადადება ხელოვნურად ხდება და ეს სიტუაცია იმისთვის იქმნება, რომ პოლიტიკურ კალენდარს მოემსახუროს,“** - აღნიშნა ბაჩო ახალაიამ.

ახალაია ამბობს, რომ მისი მდგომარეობა უფრო ტყვედ ყოფნას ნიშნავს, ვიდრე პატიმრობას.

**„ველოდები საბოლოო სიტყვის თქმას. უკვე ექვსი თვეა, ციხეში ვზივარ. ტყვე ხომ არ ვარ, ადამიანი ვარ! ჩემი მდგომარეობა უკვე ტყვეობას ემსგავსება და არა პატიმრობას,“** - განაცხადა ახალაიამ.

მოგვიანებით, ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრის საქმეზე პროკურორის შეცვლის მიზეზი, თავისი მხრივ, მთავარმა პროკურატურამ განმარტა. მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ამბობენ, რომ პროკურორი რევაზ ნადოი ბაჩო ახალაიას პროცესს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ დაესწრებოდა.

**„პროკურორი რევაზ ნადოი გუშინ შეუძლოდ გახდა და სასამართლო პროცესზე დასწრებას ველარ შეძლებდა, რის გამოც გადაწყდა, რომ იგი ბაჩო ახალაიას საქმეზე სხვა პროკურორს ჩაენაცვლებინა,“** - განაცხადა პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ხათუნა პაიჭაძემ.

ახალაიას ადვოკატები კი პროკურორის შეცვლის ფაქტს პოლიტიკური მოტივებით ხსნიან და ამბობენ, რომ ხელისუფლება პროცესს ხელოვნურად წელავს, რადგან არჩევნებამდე განაჩენის დაფიქსირება ხელს არ აძლევს..

ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრის ადვოკატი გოგა ონიანი მიიჩნევს, რომ დღეს პროკურატურა პირდაპირ ასრულებს პოლიტიკურ დაკვეთას და «მარგველაშვილის არჩევნებს“ ელოდება. მისი თქმით, ხელისუფლებას განაჩენის არჩევნებამდე დაფიქსირება არ სურს, რადგან დადასტურდება, რომ ბაჩო ახალაიაზე მათი წარმოდგენები გადამეტებული იყო.

**„მათ არ აწყობთ, საზოგადოებამ გაიგოს, რომ მათი პოზიცია, თითქოს ბაჩო ახალაია მონსტრი იყო და ბავშვებს ხარშავდა, წინასაარჩევნოდ მოსახლეობის მოსატყუებლად იყო გათვლილი. ახლა ცდილობენ, პროცესი შეგნებულად გაწელონ და ის შედეგი მიიღონ, რომლის მიღებაც სურთ. მართლმსაჯულება ამ დონეზე ჩართონ პოლიტიკაში, აბსოლუტური მარაზმია, მაშინ როდესაც წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ თურმე სასამართლო თავისუფალი არ იყო,“** - განაცხადა გოგა ონიანმა.

### საბერძნეთში ანტიფაშისტური დემონსტრაცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა

საბერძნეთის რამდენიმე ქალაქში მსხვილი ანტიფაშისტური დემონსტრაციები გაიმართა. ზოგიერთ ქალაქში აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ქუჩის გამოსვლების მიზეზი ადგილობრივი ანტიფაშისტი მუსიკოსის პავლოს ფისასის მკვლელობა გახდა. უკვე დააკავეს 45 წლის მამაკაცი, რომელმაც მკვლელობა აღიარა. პოლიციის ინფორმაციით, ის «ოქროს განთიადის" წევრია. ამ პარტიის წევრები კი ნეოფაშიზმის იდეებისადმი მიდრეკილებას არ მალავენ.

თავად, ორგანიზაცია მკვლელობაში რაიმე ტიპის მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს. «ოქროს განთიადის" ლიდერმა ნიკოლას მიხალოლიაკოსმა ამ მკვლელობას «შემზარავი" უწოდა. მკვლელობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქვეყანაში. მთავრობამ ეს თავდასხმა მკაცრად დაგმო. ზოგიერთი პოლიტიკოსი «ოქროს განთიადის" აკრძალვის წინადადებითაც კი გამოვიდა. გუშინვე ტელევიზიით ხალხს მიმართა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ანტონის სამარასმა. მან პირობა დადო, რომ უშეღავათო ბრძოლას გამოუცხადებს ულტრამემარჯვენე ექსტრემისტებს «ოქროს განთიადიდან", რომლებიც დემოკრატიის საფუძვლებს არღვევენ. მან თქვა, რომ ნაცისტების შვილები საბერძნეთის სოციალურ ყოფას წამლავენ და მოსახლეობას აშინებენ."

### შეტაკება ეგვიპტის უსაფრთხოების ძალებსა და შეაირაღებულ მებრძოლებს შორის

«ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ეგვიპტის უსაფრთხოების ძალებსა და შეირაღებულ მებრძოლებს შორის კაიროსთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში შეტაკება მოხდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, შეტაკების შედეგად ერთი პოლიციელი დაშავდა. უსაფრთხოების ძალების კერდაშში შესვლის მიზანი «კრიმინალებისა და ტერორისტების ბუდის" მიკვლევა იყო. გასულ თვეში კერდაშში პოლიციის შენობაზე თავდასხმას პოლიციის 11 ოფიცერი ემსხვერპლა.

### ნატო ევროკავშირს მეტი უპილოტოების ყიდვისკენ მოუწოდებს

ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს სურს, ევროკავშირის ქვეყნებმა მეტი უპილოტო თვითმფრინავები, «საზღვაო რადარები" და «საწვავის შესავსები თვითმფრინავები" შეიძინონ. «EUobserver"-ის ცნობით, აღნიშნულის შესახებ რასმუსენი საუბარს ბრიუსელში კარნეგის ევროპის ფონდში გამოსვლისას გეგმავს. «ვფიქრობ, ევროპამ მეტი უნდა გააკეთოს, რათა ამერიკის წვლილს გაუთანაბრდეს. მინდა, ევროპამ მეტი უპილოტი თვითმფრინავი, ჰაერში საწვავის შესავსები ხომალდი შეიძინოს, რათა ოპერაციებში ამ ქვეყნების მონაწილეობა გაიზარდოს," - აღნიშნა რასმუსენმა.

რასმუსენი ასევე გეგმავს, ევროპის კომისიას «ძლიერი, ევროპული თავდაცვითი ინდუსტრიის" შექმნის შესახებ საკუთარი შეხედულება წარუდგინოს. მისი თქმით: „ევროპის თავდაცვითი ინდუსტრია კვალავ ფრაგმენტული რჩება." რასმუსენი ასევე აპირებს, მოუწოდოს «ევროკავშირის ლიდერებს, რათა მეტი დახარჯონ თავდაცვის სფეროზე, ვინაიდან მათი ეკონომიკები კრიზისიდან უკვე გამოვიდა."

ევროკომისიამ ივლისში ევროკავშირის თავდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ პროექტი წარადგინა. დოკუმენტში მრავალი საქმიანობაა ჩამოთვლილი, მათ შორის ევროკავშირის მიერ სტანდარტების დადგენა სამხედრო აღჭურვილობებისთვის, ისეთების როგორიც არის ქიმიური და ბირთვული იარაღის გამოსავლენი ტექნოლოგიები და სხვა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მთლიანი ბიუჯეტი ამერიკის ანალოგიურ ბიუჯეტს შვიდჯერ ჩამორჩება. რასმუსენის მსგავსად, ევროკომისიის მოხსენებაში მითითებულია, რომ «ამერიკას ამ ეტაპზე ყურადღება აზიისკენ აქვს მიპყრობილი. ევროპას კი გადაწყვეტა და მოქმედება მესამე პირის შესაძლებლობებზე დაყრდნობის გარეშეც უნდა შეეძლოს. ამისთვის კი მომარაგება, მნიშვნელოვან ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა და ოპერაციული დამოუკიდებლობა უმნიშვნელოვანესია."

### კოსოვოში ევროკავშირის მისიის პოლიციელი მოკლეს

კოსოვოს ქალაქ მიტროვიცაში პატრულირების დროს ევროკავშირის მისიის პოლიციელი მოკლეს. ევროკავშირის მისიამ Eulex-მა მომხდარს უკვე უწოდა მხდალი ქმედება და გამოიძება დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლი ორ ავტომანქანას გაუხსნეს, რომლითაც ორგანიზაციის ექვსი თანამშრომელი გადაადგილდებოდა.

### ამერიკელთა 50 პროცენტი რუსეთს მტრად მიიჩნევს

სირიის ქიმიური იარაღის საკითხზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვსა და ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის შორის მიღწეული შეთანხმების შემდეგ, Gallup-მა ამერიკაში გამოკითხვა ჩაატარა, საიდანაც ირკვევა რომ მოსახლეობის 50 პროცენტი რუსეთს ამერიკის ინტერესების მტრად მიიჩნევს. ანალიტიკოსები კი აღნიშნავენ, რომ ამ შედეგებზე გავლენა იქონია ედუარდ სნოუდენისთვის მოსკოვის მიერ თავშესაფრის მინიჭებამ და რუსეთში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავი კანონის შემოღებამ. ამასთან, გამოკითხულთა 72 პროცენტი დადებითად შეხვდა მოსკოვისა და ვაშინგტონის ერთობლივ ძალისხმევას სირიის პრობლემის მოგვარებისთვის. ამ ორი ქვეყნის ერთობლივად მუშაობა მხოლოდ გამოკითხულთა 18 პროცენტს არ მოეწონა.

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# აშშ-ირანის ურთიერთობებში დათბობის ელემენტები გამოჩნდა

პირველი გვერდიდან

ექსპერტების აზრით, თვით ის ფაქტი, რომ ირანის პრეზიდენტმა მსხვილ ამერიკულ სამაუწყებლო კომპანიას ინტერვიუ მისცა, თავისთავად მეტყველებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი მთავრობისთვის ვაშინგტონთან დიალოგი.

ობამამ და როუჰანიმ წერილები რომ გაცვალეს, ეს ორივე მხარემ ცოტა ხნის წინ დაადასტურა და ჩვენი მკითხველისთვისაც ცნობილია. წერილის შსახებ როუჰანიმ ინტერვიუში თქვა, რომ შესაძლოა, ეს თითქმის შეუმჩნეველი და უმნიშვნელო წინსვლაა, მაგრამ მას შეუძლია, სამომავლოდ ურთიერთობებში უფრო სერიოზულ პროგრესთან დაგვაახლოვოს. წინა კვირაში, როდესაც თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ ობამას მიერ როუჰანისთვის გაგზავნილი წერილის შესახებ ისაუბრა, თქვა, რომ წერილში პრეზიდენტმა გამოხატა აშშ-ს მზადყოფნა, ოფიციალურ თეირანს მისცეს იმის დემონსტრირების საშუალება, რომ ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება. თუმცა კარნიმ დასძინა, რომ სიტუაციიდან გამოსავალი მალე უნდა მოიძებნოს, რადგან «საკითხის დიპლომატიური საშუალებებით გადაწყვეტისთვის ფანჯარა ღიაა, მაგრამ ის მუდმივად ვერ იქნება ღია."

ჰასან როუჰანიმ ინტერვიუში ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ საუბრისას განაცხადა, რომ მას აქვს სრული უფლებამოსილება, დასავლეთთან აწარმოოს მოლაპარაკებები ურანის გამდიდრების პრობლემურ საკითხებზე. ამას გარდა, რიუჰანიმ თქვა, რომ მხარს უჭერს ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს მიერ მასობრივი განადგურების იარაღზე უარის თქმას და ამ იარაღის განადგურებას. „ჩვენ იმ სახელმწიფოთა შორის ვართ, რომლებიც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასაცავად გამოდიან, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის ლიკვიდაციის მომხრენი ვართ. ჩვენ ბირთვული ტექნოლოგიების მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოყენება გვაინტერესებს."

ჟურნალისტის კითხვას, შეუძლია თუ არა ირანს იმის გარანტირება, რომ სირია მის ხელთ არსებულ ქიმიური იარაღზე მთლიანად უარს იტყვის, ბაშარ ასადის რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელმა პირდაპირი პასუხი არ გასცა. «ჩვენ სირიის მთავრობა არ ვართ" - თქვა როუჰანიმ. ისე, როდესაც როუჰანი რეგიონში მასობრივი განადგურების იარაღის ლიკვიდაციაზე საუბრობდა, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ იგი, პირველ რიგში, ისრაელს გულისხმობდა, რომელსაც, სავარაუდოდ, აქვს ბირთვული იარაღი, ოღონდ ამას ოფიციალურად არც აღიარებს და არც უარყოფს. სირიის თემა როუჰანის ინტერვიუში სხვა კუთხითაც ფიგურირებდა. კითხვაზე, მიაჩნია თუ არა სისუსტედ აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაწყვეტილება, როცა მან უარი თქვა სირიის არაბთა რესპუბლიკისთვის დარტყმის მიყენებაზე, ირანის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ პირიქით, მას სისუსტედ ის მიაჩნია, როდესაც რომელიმე ქვეყნის მთავრობა თუ ადმინისტრაცია პრობლემის მოგვარების საშუალებად ომს იყენებს.

ირანის მხრიდან უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარებაზე მინიშნება ბოლო დღეებში მხოლოდ პრეზიდენტ როუჰანის არ არ დაუფიქსირებია. სამშაბათს ირანის სულიერმა ლიდერმა და ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ჰამენეიმ განაცხადა, რომ «ის დიპლომატიის წინააღმდეგი არ არის". ოთხშაბათს კი ირანის ატომური სააგენტოს ხელმძღვანელმა ალი აკბარ სალეჰიმ თქვა, რომ დასავლეთთან მოლაპარაკებების პროცესში გარღვევას ელოდება (ამ «გარღვევას" სალეჰი «ვერ ახერხებდა" მაჰმუდ აჰმადინეჯადის პრეზიდენტობის პერიოდში).

გარდა ამისა, ირანში ოთხშაბათს, მოულოდნელად, წინასწარ რაიმე ინფორმაციის გავრცელების გარეშე 11 პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს, მათ შორის 8 ქალია. პრინციპში, მთავრობას რაიმე განცხადება არც პოსტფაქტუმ გაუკეთებია. გათავისუფლებულ პირებს შორის მოხვდნენ ცნობილი პოლიტიკოსი, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ხატამის პრეზიდენტობის პერიოდში მოხსენ ამინზადე და ცნობილი ადვოკატი და ადამიანის უფლებათა დამცველი ქალი ნასრინ სოტუდე. ის ქვეყანაში ერთ-ერთი ცნობილი და პატივცემული ადვოკატია. მათ შორის, იცავდა ოპოზიციონერებს, როდესაც ეს უკანასკნელები 2009 წლის საეჭვო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აგორებული საპროტესტო ტალღის გამო დააპატიმრეს. სოტუდეც და ამინზადეც 2010 წელს დააპატიმრეს. სოტუდეს 6 წელი მიუსაჯეს ქვეყნის ეროვნული უშიშროების ძირგამომთხრელი მოქმედებებსთვის. ნასრინ სოტუდეს ევროპარლამენტმა 2012 წელს ანდრეი სახაროვის პრემია მიანიჭა. ამინზადეს ციხე მიუსაჯეს საპროტესტო დემონსტრაციების ორგანიზებისა და ანტისამთავრობო პროპაგანდისთვის. ის პრეზიდენტობის კანდიდატ ჰოსეინ მუსავის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო.

სულ ირანში დღეს, დაახლოებით, 800 პოლიტიკური და სინდისის პატიმარია. პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატები ჰოსეინ მუსავი და მეხდი ქარუბიც ოჯახებიანად შინაპატიმრობაში იმყოფებიან.

თეთრი სახლის წარმომადგენელ ჯეი კარნის დაუსვეს შეკითხვა, მოსალოდნელია თუ არა ობამასა და როუჰანის შეხვედრა ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის მიმდინარეობის პერიოდში (ასამბლეა ხუთშაბათს გაიხსნა). კარნიმ განაცხადა, რომ ასეთი შეხვედრა დაგეგმილი არ არის და აშშ-მ ჯერ უნდა დაინახოს, მოჰყვება თუ არა საქმე ირანის პრეზიდენტის დეკლარირებულ სურვილს, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობა გააუმჯობესოს. თავის მხრივ, განცხადება გააკეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარი ჰარფმა. ის პოლიტპატიმრების პირველი ჯგუფის, მათ შორის ნასრინ სოტუდეს გათავისუფლებას მიესალმა, თუმცა აღნიშნა, რომ აშშ-ს იმედი აქვს, როუჰანი ირანელი ხალხისთვის მიცემული დაპირების შესრულებას გააგრძელებს და ყველა პოლიტპატიმარს გაათავისუფლებს.

ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში დათბობის პირველი ნიშნების გამოჩენას ამავე დროს ხელი არ შეუშლია აშშ-ს იუსტიციის სამინისტროსთვის, ყადაღა დაედო ნიუ-იორკში, მეხუთე ავენიუზე მდებარე ერთ-ერთი ცათამბჯენისთვის (ის ოფისებზე ქირავდება), რომელიც არაპირდაპირ ირანის მთავრობას ეკუთვნის. შენობის ფორმალური მფლობელები ამ ნაბიჯის გასაჩივრებას აპირებენ, თუმცა ეს ალბათ შედეგს ვერ გამოიღებს. შენობა 1970-იან წლებში ირანის შაჰის მიერ დაფუძნებულმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ ააგო, რევოლუციის შემდეგ ცათამბჯენი ირანის ახალი მთავრობის ხელში გადავიდა. შაჰის არაკომერციულ ორგანიზაციას სახელი გადაარქვეს და ის ამ შენობას შვილობილი ორგანიზაციების მეშვეობით დღემდე ფლობს. ამჟამად ის უფრო საინტერესოა, ირანი, მის წინააღმდეგ ოთხი წლის განმავლობაში მოქმედი მკაცრი სანქციების პირობებში, როგორ ინარჩუნებდა ამ შენობას.



# ლეპაჟის მთვარეზე! ანუ, თბილისის თეატრალური ფესტივალი იწყება

პირველი გვერდიდან

ყოველი მისი ახალი დადგმა დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ თეატრალურ პროცესებზე, არამედ თეატრალურ კრიტიკაზეც, რომელსაც ლეპაჟი მუდმივად გაოცებულს ყოვებს.

„სანამ გალილეო თავის ტელესკოპით მის ზედაპირს დააკვირდებოდა, ხალხს სჯეროდა რომ მთვარე გლუვი სარკე იყო. მისი მუქი ნაიარევები და იდუმალი კონტურები ჩვენი მთებისა და ზღვების ანარეკლს ჰგავდა. მოგვიანებით მეოცე საუკუნეში საბჭოელებმა გააგზავნეს რაკეტა მთვარის გარშემო შემოსავლელად. გამოაგზავნეს მთვარეზე გადაღებული ფოტოები სადაც დაფარული ზედაპირი ჩანს, რომელსაც დედამიწიდან ვერ ვხედავთ. შოკისმომგვრელ ფოტომასალაზე ასახულია უთვალავი მეტეორისგან თუ კოსმოსური ნამსხვრევებისგან დაფლეთილი და დაღარული მთვარის ზედაპირი. მრავალი ხნის მანძილზე ამერიკელი მეცნიერები ამ ნაწილს უწოდებდნენ მთვარის მახინჯ მხარეს. შესაძლოა სწორედ ესაა მიზეზი თუ რატომ ჰქვია მთვარის ამ ნაწილს საბჭოთა კოსმონავტების, პოეტებისა და გამომგონებლების სახელები.“ - წერენ წაროდგენის სინოფსისში. წარმოდგენა ერთი ფილიპეს ამბავია, რომელმაც ახლახანს გადაიტანა დედის სიკვდილი და ერთადერთ დედმამიშვილთან, პატარა ძმა ანდრესთან განშორება. საიდუმლოებით მოცული სამყაროს სწავლებით ანთებული ვარსკვლავებს ჩაფიქრებული შეჰყურებს. დროსა და ადგილს მეორე ხარისხოვანი როლი უკავია ფილიპეს კვლევაში, რომელიც მოიცავს სამყაროს მნიშვნელობას და მის არსებობას ამ სამყაროში.

კოსმოსური რბოლის დროს საბჭოელებისა და ამერიკელების გაუთავებელი კონკურენცია (დედამიწის გარეთ არსებული სიცოცხლის



სცენა რობერტ ლეპაჟის სპექტაკლიდან მთვარის შორეული მხარე“

ძიება), ბავშვობის მოგონებები და სიყმაწვილე ერთ-ერთი კრიტერიუმია ამ ერთი კაცისთვის ფუნდამენტური შეკითხვის ამოსახსნელად - „მარტონი ვართ?“. შოუს „მთვარის შორეული მხარე“ ლეპაჟის თეატრალური მაგიური ფრთების წყალობით მაყურებელი გადაყავს სხვა სამყაროში.

თუკი 2013 წლის თეატრალური ფესტივალის სამი საუკეთესო საღამო უნდა ამოვარჩიო წინასწარ, მაშინ მეორე აუცილებლად იქნება 24 სექტემბერი. რუმინული თეატრალური დასი - რადუ სტანსას“ სემუელ ბეკეტის გოდოს მოლოდინში“ .

რეჟისორი სილვიუ პურკარეტე ფიქრობს, რომ გოდოს მოლოდინში“ არ არის ნაჩვენები თეზისი. წარმოდგენა მაყურებელს არანაირ მორალს არ უქადაგებს, არც იმედი მოსჩანს სადმე.

ასეთი პიესის გასაგებად უნდა წარმოვიდგინოთ თუ როგორ არის უსასრულო სამყარო მოქცეული ჩვენივე სულიერ სივრცში და ასევე ორი ოსახლკარო ადამიანის ცხოვრებაში, დაუსრულებლად წინააღმდეგობაში მყოფი კაცობრიობის ფონზე.

ბეკეტი არ გვაძლევს კონკრეტულ პასუხს იმ საკითხებზე რისკენაც მარადიულად მივილტვით და ჩვენივე წარმოდგენების ფონზე ვლინდება მისი გენიალურობა.

სპექტაკლს გოდოს მოლონში“ ახასიათებს მარადიული აქტუალურობა. წარმოდგენაში ცხადად არ არის გამოხატული კონკრეტული გრძნობები და ემოცია, თუმცა ბეკეტის დახმარებით, საკუთარ გრძნობად აღვიქვამთ... გოდოს მოლოდინში ვართ - ვედრება, რეფლექსი, კედელი...

სილვიუ პუკარეტეს სპექტაკლი ბეკეტის სამყაროს ძალიან ნათლად აღწერს, ამავდროულად ყველაფერი გახვეულია რაღაც თბილ, გრძნობებით მოცულ, ამოუხსნელ გარემოში.

ყოველთვის რთულია გაავლო ზღვარი რეალურ დიალოგსა და სურეალისტურ, ირაციონალურსა და ვირტუალურს შორის. ბეკეტის პიესაზე აგებულ სპექტაკლში ერთგვარად კინემატოგრაფიის ელემენტები შეინიშნება: გზად გვხვდება ძალიან მოკლე, სუნთქვის შემხუთველი მომენტები, რომლებიც ფანტაზიის ჟანრს მიეკუთვნება და ორივე მათგანის სინთეზს წარმოადგენს. ნამდვილისა და ყალბის ჰალუცინაციური მონაცვლეობა.“ - წერს კრიტიკოსი მარინა კონსტანტინესკუ.

რადუ სტანსას“ დასმა ეროვნული თეატრის სტატუსი 2004 წელს მიიღო. ის არის რუმინეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მასპინძელი. დასის შესახებ ინტერნეტში ცოტას თუ ამოიკითხავთ, თუმცა, მას საინტერესო საფესტივალო ფიოგრაფია აქვს და კლასიკური დრამატურგიის ტანამედროვე ფორმებში ინტერპრეტაციის საკმაოდ კარგი გამოცდილება გააჩნია.

და ბოლოს, მართალია პოლონური თეატრის მაესტრო იან კლატა არც წელს ჩამოდის, თუმცა მისი ოდნავ უმცროსი თანამოაზრისა და როგორც პოლონეთში ეძახიან მიმდევარის მაია კლიჩევსკას კიდევ ერთ წარმოდგენას მაინც ვიხილავთ. მაია კლიჩევსკა ერთ-ერთი აღარიარებული რეჟისორია აღმოსავლეთ ევროპაში. მას შარშანდელი ფესტივალის მაყურებელი იცნობს ( ღმერთების სიკვდილი“), თუმცა წელს მისი ბევრად უფრო საინტერესო და გახმაურებულსა დადგმას ვიხილავთ. უილიამ შექსპირის მაკბეტს“. მართალია კლიჩევსკას წარმოდგენა შარშან არაერთმა მაყურებელმა უხმოდ დატოვა, მძაფრი და ძალიან ნატურალისტური სცენების გამო, მაგრამ სექსპირი მაინც თავისას იზამს და ამ წარმოდგენაზე დასასწრებ ბილეთს ისინიც იყიდიან, ვისაც თანამედროვე თეატრის გულწრფელობა ნაკლებად იზიდავს.

ახლა, ბოლოსთვის პოლონელი რეჟისორის მაკბეტზე“ იყოს ორიოდე სიტყვა:

მაია კლეჩევსკამ ჩვენი თანამედროვე ეპოქა თავისი დაუნდობლობითა და სიშმაგით, შექსპირის ტექსტში აღმოაჩინა. მეფე დუნკანი პრუჟკოვისა და ვოლომინის შორიახლოსაა, მაკბეტისა და ლედი მაკბეტის არ შემდგარი ქორწინება. წარმოდგენილი სამყარო ძალიან ახლოსაა ლინჩისა და ალმადოვარის ფილმებში ასახულ რეალობასთან. კლიჩევსკა ყოველთვის ახლოს არის კინოსთან. დაახლოებით ისეთსავე სიახლოვეში, როგორც ლიტერატურასთან. კლეჩევსკა შეკითხვას სვამს: როგორ იბადება ბოროტება? ვინ არის მასზე პასუხისმგებელი? როგორ შეგვიძლია ჩვენი ბედისწერის წარმართვა და თავად ბედისწერა როგორ გვმართავს? ამ ღია კითხვებით რეჟისორი მისთვის ყველაზე ახლობელ თემას აგრძელებს - ძალადობის საზღვრების თემას. მაინც სადაცმდე შეგვიძლია ადამიანებს ძალადობის ატანა თუ გამოვლენა. შექსპირი - ბუნებრივია რეჟისორი მას ვერსად გაექცევა, თუმცა კრიტიკას არაერთგზის დაუწერია, რომ მაია კლიჩევსკას მაკბეტში“ სამყარო ბევრად უფრო ცინიკურია ვიდრე შექსპირის პიესაში.

...ამ მაკბეტში“ მართალი პერსონაჟები არ არსებობენ. მალკოლმი ოქროულით მოკაზმული სულელი ნაძირალაა. მაკდაფი გაიძვერა მაფიოზი ბულალტერია, რომელიც ყოველთვის ახერხებს გაქრობას“ სწორ დროს. ძალაუფლება გადამდები ცდუნებაა, მეგობრობა პირად ინტერესზეა აგებულია, სიყვარული გარყვნილებაა, სექსუალური კავშირი დეგრადირებულია, სიკვდილი კი სამარცხვინოა. (...) კლეჩევსკას რეჟისურა ქალური დაუნდობლობით გამოირჩევა. ის გვაჩვენებს სამყაროს, რომელიც ძალადობით, სექსუალური ძალადობით და სისხლისღვრით ფუნქციონირებს. პიესა არ გვეუბნბა, რომ ბოროტება ბანალურია. ის ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენებს ბოროტების წარმოშობას, მის მამოძრავებელ იმპულსებს. შოკისმომგვრელია...“ - ლუკაშ დრევნიაკი, Przekro.


სასკოლო სახელმძღვანელოები საგამომცემლო ფასში

აბიტურები, ტესტები, საატესტაციო წიგნები და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან“
პროფკავშირების კულტურის ცენტრში

595 11 32 33
571 11 32 33

# შპს „ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედის ფილიალი საქართველოში“ განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**1.**

**აუქციონის საგანი:**

შპს „ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედის ფილიალი საქართველოში” (შემდგომში: „ჯინდალი“) აცხადებს აუქციონს სოფელ სართიჭალაში, ნავთობის პირველადი დამუშავების სამსახურის ტერიტორიაზე განთავსებული №2/6 ფლუიდის რეზერვუარიდან 57 მ$^3$ ±25% ნავთობშლამის (შემდგომში: საქონელი) გაყიდვასთან დაკავშირებით და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

–

**2. საქონლის აღწერა:**

„ჯინდალი” პოტენციურ მყიდველს სთავაზობს (ნავთობშლამს) – შემდეგი დაახლოებითი მახასიათებლებით:
რეზერვუარში არსებული ქვედა ფენა არის მოშავო-მოყვითალო ფერის შლამი, შუა ფენა ოდნავ შემღვრეული წყალი (გარდატეხის მაჩვენებელი 20$^0$C-ზე nd – 1.334 (დისტილირებული წყლის nd – 1.333), ხოლო ზედა ფენა წარმოადგენს ნავთობპროდუქტებისათვის დამახასიათებელი სუნის მქონე მოშავო ფერის გაუმჭირვალე სითხე, რომელშიც შეინიშნება იმავე ფერის შესქელებული ჩანართები. საერთო პროდუქტი არის ერთგვაროვანი, შეიცავს მცირე რაოდენობით ნავთობს ან/და ნავთობპროდუქტების ნარევს, დიდი რაოდენობით წყალს და მექანიკურ მინარევებს.

**3. მიწოდების პირობები:**

საქონლის მიწოდება „ჯინდალის“ მიერ განხორციელდება სოფელ სართიჭალაში, ნავთობისა და გაზის პირველადი დამუშავების სამსახურის ტერიტორიაზე (სამგორის სათაო ნაგებობა) მდებარე რეზერვუარი №2/6-დან. აუქციონში გამარჯვებული იღებს სრულ პასუხისმგებლობას უზრუნველყოს რეზერვუარის გაწმენდის პროცესში ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა და საქონლის ავტოცისტერნებში ჩატვირთვის და გატანის პროცესი უზრუნველყოს უსაფრთხოების სრული დაცვით.

**4. აუქციონში მონაწილეობის პირობები:**

ა) ერთ მ$^3$ სარეალიზაციო საქონელზე აუქციონის მონაწილეებს შორის ვაჭრობა გაიმართება „ჯინდალი“-ს მიერ წარმოდგენილი საწყისი ფასის 200.60 (ორასი ლარი და სამოცი თეთრი) ლარის (დღგ-ს ჩათვლით) მიმართ სავაჭრო 5 ლარის ბიჯით გაზრდით.
ბ) აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია აუქციონში მონაწილეობის განაცხადის შეტანამდე შეიძინოს აუქციონში მონაწილეობის ბილეთი, რომლის ღირებულება შეადგენს 50 ლარს და რომლის საფასურიც გადახდილ უნდა იქნეს „ჯინდალი“-ს საბანკო ანგარიშზე.
გ) აუქციონში მონაწილეობის მსურველმა სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად უნდა წარადგინოს „ჯინდალი“-ს საბანკო ანგარიშზე “ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი. “ბე”-ს ოდენობა შეადგენს 1800 (ათასრვაასი) ლარს. გადახდილი „ბე“ აუქციონში გამარჯვებულს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. აუქციონში მონაწილეებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს აუქციონში, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი “ბე”-ს ოდენობა აუქციონის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღეში.
დ) აუქციონში მონაწილეებს “ბე” არ დაუბრუნდებათ თუ აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, რის შედეგადაც შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ;
ე) აუქციონში გამარჯვებულს “ბე” არ დაუბრუნდება თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე ან აუქციონის დასრულებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში არ გააფორმებს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას.
ვ) იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული უარს იტყვის აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე ან აუქციონის დასრულებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში არ მოაწერს ხელს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, სააუქციონო კომისია უფლებამოსილია საქონლის შესყიდვა შესთავაზოს იმ მონაწილეს, რომელმაც გამარჯვებულის შემდეგ ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. თუ ეს უკანასკნელიც იტყვის უარს, მის მიერ დაფიქსირებული ფასით საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერაზე მაშინ მასაც არ დაუბრუნდება შეტანილი “ბე” (იგივე პირობა ვრცელდება ყველა მომდევნო მონაწილეზე).
ზ) ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა მოხდეს აუქციონში გამარჯვებული პირის გამოცხადებიდან 4 კალენდარულ დღის განმავლობაში.
თ) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულების შემდეგ ხელი მოაწეროს ოქმს.
ი) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია საქონლის გატანამდე „ჯინდალს“ წარუდგინოს შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა რის დამტკიცების შემდეგაც მიიღებს საქონლის გატანის უფლებას.

**5. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება აუქციონში მონაწილე, რომელიც ერთი მ$^3$ საქონლის ყიდვისათვის „ჯინდალს“ შესთავაზებს სხვა მონაწილეებთან შედარებით მეტ ფასს.

**6. აუქციონში გამარჯვებულის ვალდებულებები:**

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სრულად გაიტანოს სოფელ სართიჭალაში, ნავთობისა და გაზის პირველადი დამუშავების სამსახურის ტერიტორიაზე (სამგორის სათაო ნაგებობა) მდებარე რეზერვუარი №2/6-დან არსებული საქონელი. სამუშაოები შეასრულოს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების სრული დაცვით:

6.1. გაწმენდითი სამუშაოების წინ აუცილებელია რეზერვუარების დაცლა;
6.2. დაცლილი რეზერვუარი უნდა განიავდეს;
6.3. ჩატარდეს რეზერვუარში არსებული ჰაერის შემოწმება მხუთავი და ფეთქებადი ნივთიერებების შემცველობაზე. აღნიშნული შემოწმება შესრულდეს ყოველ ნახევარ საათში ერთხელ. შემოწმების შედეგები ჩაიწეროს სამუშაო ჟურნალში;
6.4. პერსონალი უნდა იყოს კვალიფიციური და ჰქონდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება;
6.5. პირადი უსაფრთხოების დამცავი აღჭურვილობა (სპეც ტანსაცმელი) რეზინის ჩექმები, კომბინიზონი, რეზინის ხელთათმანები და აირწინაღი. აღნიშნული აღჭურვილობის გარეშე რეზერვუარში შესვლა დაუშვებელია;
6.6. რეზერვუარის განათება უნდა მოხდეს მხოლოდ სპეციალური სანათით (ელემენტებზე);
6.7. აკრძალულია მობილური ტელეფონის შეტანა რეზერვუარში თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში;
6.8. აკრძალულია რეზერვუარში ელექტრო და რკინის ხელსაწყოების გამოყენება;
6.9. ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევა აკრძალულია;
6.10. რეზერვუარის შესასვლელ(ებ)ი ყოველთვის უნდა იყოს ღია;
6.11. სამუშაო ობიექტზე აუცილებელია იყოს შესაბამისი ცეცხლმაქრები, ქვიშიანი ტომრები და პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი.

**7. სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები:**

სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრიგადირი, ჯგუფის უფროსი, სუპერვაიზერი, უსაფრთხოების მენეჯერი/ოფიცერი) ვალდებულია სამუშაოს დაწყების წინ ჩაატაროს შესასრულებელი სამუშაოს რისკის შეფასება რის შემდეგაც აღმოფხვრას ან მინიმუმამდე შეამციროს აღმოჩენილი რისკები.
სამუშაოს დაწყებამდე პერსონალს ჩაუტაროს შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ინსტრუქტაჟი, გააცნოს სამუშაოსთან დაკავშირებულ რისკებს და მათი თავიდან აცილების მექანიზმებს. აღნიშნული ინსტრუქტაჟი უნდა იყოს დასაბუთებული რის შემდეგაც ჩამტარებელმა და სამუშაოს მწარმოებელმა ხელი უნდა მოაწერონ სამუშაო ჟურნალში.

პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეადგინოს ჩასატარებელი სამუშაოების განრიგი, მიუთითოს პერსონალის რეზერვუარში ყოფნის და დასვენების საათები. შეასრულოს სამუშაოები აღნიშნული გრაფიკის მიხედვით.

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აკონტროლოს რეზერვუარში მყოფი ადამიანების მდგომარეობა.

დაუშვებელია რეზერვუარში არასანქცირებული შესვლა.

**8. განაცხადის წარმოდგენის და აუქციონის ჩატარების ვადები:**

ა) აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, „ჯინდალში“ მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთი, აუქციონის პირობებზე თანხმობა და მე-9 მუხლში მითითებული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს 2013 წლის 25 სექტემბერი $15^{00}$ საათამდე.
ბ) მსურველებმა განაცხადი აუქციონში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ჭირნახულის ქ. №9 ს/ი 0198, შპს „ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედის ფილიალი საქართველოში”. ტელ: 2 40 71 23.
გ) აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 25 სექტემბერს $16^{00}$ საათზე, „ჯინდალი“-ს ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ჭირნახულის ქ. №9).

**9. სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტმა განაცხადთან ერთად:**

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).
ბ) აუქციონში მონაწილე კომპანიის რეგისტრაციის მოწმობა და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
გ) სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ადასტურებს პირის უფლებამოსილებას იმოქმედოს აუქციონში მონაწილის სახელით (თუ აუქციონში მონაწილეობს კომპანიის ნდობით აღჭურვილი პირი, გარდა კომპანიის წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირისა). მინდობილობაში უნდა მიეთითოს წარმომადგენელი პირის პირადობის მოწმობის ან საპასპორტო მონაცემები.
დ) აუქციონში მონაწილეს რეკვიზიტები: დასახელება, საკონტაქტო მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები.

**10. აუქციონში გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ზოგადი პირობები:**

ა) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარულ დღეში წინასწარ გადაიხადოს, საქონლის საშუალო სარეალიზაციო რაოდენობის – 57მ$^3$ ღირებულების 125%, რაშიც გათვალისწინებული იქნება წინასწარ „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა.
ბ) აუქციონში გამარჯვებულმა საქონლის გატანა უნდა განახორციელოს საქონლის ღირებულების გადახდიდან 10 კალენდარულ დღეში.
გ) საქონლის მთლიანი ღირებულება დაანგარიშებული იქნება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ოდენობიდან.
დ) ზედმეტად გადახდილი თანხა გამარჯვებულს დაუბრუნდება საქონლის გატანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

**11. სხვა პირობები:**

ტიპიური ხელშეკრულების პროექტის გასაცნობად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შპს "ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედის ფილიალი საქართველოში", შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ჭირნახულის ქ. №9

საკონტაქტო პირი – დავით გურული.
სამს.: 2407123; მობ.: 595-562-444
ელ.ფოსტა: daviti1985@mail.ru

**ჯინდალის საბანკო რეკვიზიტები:**

ბანკის დასახელება: სს „საქრთველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE 22
მიმღები: ***შპს „ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედის ფილიალი საქართველოში”***
საიდ. კოდი: 205277118
ანგარიშის ნომერი: GE91BG0000000332478700

# პეტრიაშვილის ბრინჯაო და გუნდური მესამე

პირველი გვერდიდან

ექსპერტები ხაზს უსვამდნენ, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო რეიტინგის სამი პირველი ნომერია.

საუბარი იყო ევროპის ჩემპიონებსა და მსოფლიო რეიტინგის პირველ ნომრებზე - გიორგი ედიშერაშვილზე (55 კგ.), დავით მარსაგიშვილზე (84 კგ.) და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ ვლადიმერ ხინჩეგაშვილზე (60 კგ.). გარდა ამისა, ყურადღებას ამახვილებდნენ ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონზე, წლეულს კი დიდებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორზე, 19 წლის გენო პეტრიაშვილზე.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებიდან ოთხი კაცი მედლის პრეტენდენტთა სიაში შეიყვანეს და ამით დანარჩენები ერთგვარად გააფრთხილეს.

ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და დასრულდა კიდეც. დასრულდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთათვის, სადაც გათამაშებული მედლების კომპლექტიდან საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთს შესწვდა, ისიც ამ რანგის ასპარეზობათა ახალბედა გენო პეტრიაშვილის წყალობით, რომლის სახით ქართულ «თავისუფალ" სკოლას გამორჩეული ფალავანი ეზრდება. სხვა წარმატებისთვის საქართველოს ნაკრებს არ მიუღწევია (ვგულისხმობთ სამეულში შესვლას). დასაწყისში ხსენებული მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომრებიდან მეოთხედფინალს ვერც ერთი ვერ გასცდა.

ზოგადად კი რევაზ მინდორაშვილის შეგირდთაგან სამმა - ლევან



მაქარაშვილი ნაკრებს ჩასათვლელი მეხუთე ადგილით დაეხმარა

ქელეხსაშვილმა (66 კგ.), იაკობ მაქარაშვილმა (74 კგ.) და დავით ქერაშვილმა (96 კგ.) ჩასათვლელი მეხუთე ადგილები დაიკავეს. ასე რომ, საქართველოს ნაკრებმა იმ ერთი ბრინჯაოს მედლით, სამი მეხუთე ადგილით და დაგროვილი 29 ქულით გუნდური მესამე ადგილი დაიკავა. 46 ქულით პირველობა ირანს დარჩა, 44 ქულით მეორე იყო რუსეთი.

შესაძლოა, ასეთი შედეგი რომელიმე ქვეყნისთვის დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო, მაგრამ არა ჩვენნაირი ამბიციისა და ასეთი დონის მოჭიდავეებით დაკომპლექტებული გუნდისთვის. აქედან გამომდინარე, უინტერესო არ უნდა იყოს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის ლუკა კურტანიძის შეფასება, რომელსაც დაღესტნის სპორტული ჭიდაობის ვებგვერდის მეშვეობით ჩვენც შევიტყობთ: „დასანანია, რომ ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული სამი მედლის შემდეგ მსოფლიო პირველობას ერთი ბრინჯაოს მედლით დაასრულებ. პირადად მე ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ - პირიქით, მიმაჩნია, რომ გუნდს არცთუ ცუდად წარმოუჩენია თავი.

გუნდურ ათვლაში მესამე ადგილი დავიკავეთ. თითოეული მოჭიდავე, სულ მცირე, ნახევარფინალისთვის მაინც იბრძოდა. ყველამ მოგვიტანა ქულები.

რატომ გვაქვს მხოლოდ ერთი მედალი? სადღაც არ გაგვიმართლა, სადღაც ცოტა დავაკელით.

მაგალითად, ბრინჯაოს მედლის მფლობელს, გენო პეტრიაშვილს, უნდა მოეგო ჰაჯიმურატ გაცალოვისთვის (ნახევარფინალში ოლიმპიურ და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ გაცალოვთან დამარცხდა), მაგრამ გამოუცდელობით საბედისწერო შეცდომა დაუშვა. აი, ნახავთ, გენო პეტრიაშვილი მსოფლიო ლიდერი გახდება მძიმე წონაში. გამოცდილმა რუსმა იცოდა, რომ ჭიდაობით გენოს ვერ აჯობებდა და როცა პეტრიაშვილი ილეთს აკეთებდა, გაცალოვმა შეცდომაზე დაიჭირა.

დღეს ჩვენ ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები გვყავს საქართველოს ისტორიაში.

გუნდი ახალგაზრდულია, რომელსაც შეუძლია უახლოეს მომავალში მსოფლიოს მოწინავე ნაკრებთა შორის გავიდეს. ბუდაპეშტში ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

რომ დავბრუნდებით, დავილაპარაკებთ. სპორტსმენებთან პრეტენზია არ მაქვს, მწვრთნელებთან - კი.

ოლიმპიური ციკლი ახალი დაწყებულია. ასე რომ, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. წინ დიდი დროა".

...დღეიდან საქმეში ჩაერთვებიან ქართველი ბერძენ-რომაელები. კლასიკოსები მსოფლიოს ჩემპიონატს 55 კილოგრამ წონითი კატეგორიით დაიწყებენ. საქართველოს ნაკრებიდან ხალიჩაზე ბაჩანა ფუტკარაძე გავა. ხვალ მედლებისთვის ბრძოლას შეუდგებიან ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი და ევროპის ჩემპიონი რევაზ ლაშხი (60 კგ.), გიორგი ცირეკიძე (84 კგ.) და ვასილ იმერლიშვილი (96 კგ.). 21 სეტემბერს ხალიჩაზე გავლენ საჩინო დავითაია (66 კგ.) და ილია გულბათაშვილი (74 კგ.), ხოლო 22 სექტემბერს ჩემპიონატს წერტილს დაუსვამს ლევან არაბული (120 კგ.).

## ალეგრის ბოლო წუთებმა კმაყოფილება მიანიჭა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის შეხვედრაში მილანის „მილანმა" გლაზგოს „სელტიკს" ბოლო ათ წუთში გატანილი გოლებით სძლია - 2:0.

მილანელთა მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ „სელტიკთან" მატჩის შემდეგ თქვა, კარგი იქნება, თუ ბოლო წუთებზე გატანილი გოლებით მოვიგებთო: „ჩვენთვის ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მოგება მთელმა გუნდმა დაიმსახურა.

მერე რა, რომ გამარჯვება ბოლო წუთებზე მოვიპოვეთ! ნეტავ ყველა თამაში ასე მთავრდებოდეს და უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი...

უბრალოდ, თამაშის მიწურულს უფრო მეტი თავისუფალი ზონა რომ ჩნდება, უკეთესად ვახერხებთ სახიფათო შეტევას.

ბიჭები ჟინით თამაშობდნენ, მათ იცოდნენ, რომ თამაში მხოლოდ საფინალო სასტვენის შემდეგ მთავრდება.

ყოველთვის მხოლოდ კარგზე უნდა იფიქრო. მჯეროდა, რომ ბოლო 15-20 წუთში თამაშის ბედს ჩვენს სასიკეთოდ შემოვაბრუნებდით".

## იურგენ კლოპი თავს დამნაშავედ გრძნობს

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში იტალიური „ნაპოლისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" შეხვედრის მსაჯს პედრუ პროენსას სამუშაო საკმარისზე მეტი აღმოაჩნდა.

„ბორუსიამ" მატჩის მეორე ტაიმი კაცნაკლულმა ჩაატარა - პროენსამ შესვენებამდე სტუმართა მეკარე რომან ვაიდენფელერი გააძევა. მანამდე კი, „ნაპოლის" პირველი გოლის შემდეგ, პორტუგალიელმა მსაჯმა დორტმუნდელთა დამრიგებელი იურგენ კლოპი გააგდო მწვრთნელთა სკამიდან.

მატჩის შემდეგ დორტმუნდელთა დამრიგებელმა იურგენ კლოპმა „ნაპოლისთან" წაგებაში (1:2) თავისი ფეხბურთელები დაადანაშაულა, რომლებმაც, მისი თქმით, არასაკმარისად აგრესიულად ითამაშეს და წინასწარ დასახული გეგმა არ შეასრულეს. ყველაზე მეტად კი დორტმუნდელთა თავკაცი საკუთარი თავით იყო უკმაყოფილო: „საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ დაკარგული ჯერ კიდევ არაფერია.

ახლა ვიცით, რომ შეგვიძლია „ნაპოლის" დამარცხება, თუ, რა თქმა უნდა, კარგად გავირჯებით.

...ვაიდენფელერის წითელი ბარათი, ჩემი გაძევება და მატს ჰუმელსის ტრავმა რომ არა, ალბათ, დამაკმაყოფილებელ შედეგს მივაღწევდით.

სამწუხაროდ, დღეს ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც გვინდოდა. დამნაშავე ვარ და მთელი პასუხისმგებლობა სწორედ მე მეკისრება. უკვე მოვუბოდიშე გუნდსაც და მსაჯსაც. კარგად ვაცნობიერებ, რომ ეს პირადად ჩემი შეცდომა იყო".

იურგენ კლოპისა არ იყოს, მოგებული მატჩის მიუხედავად, არცთუ კმაყოფილი იყო „ნაპოლის" ესპანელი მეკარე პეპე რეინა. მისი თქმით, გუნდმა გაცილებით უკეთ უნდა ითამაშოს. დამაკმაყოფილებლად კი მხოლოდ სამ ქულას თვლის, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიასთან" მატჩში ჩაიწერეს.

## მოურინიო „ბაზელთან" წაგებით ხასიათის გამოკეთებას „ფულჰემთან" შეეცდება

ბევრისთვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში შვეიცარიულ „ბაზელთან" საკუთარ კედლებში 1:2 დამარცხდა ლონდონის „ჩელსი".

არისტოკრატთა პორტუგალიელი თავკაცი კი სამართლიან შედეგს ნულოვან ფრეში ხედავს.

„დავკარგეთ სამი ქულა, რომლის მოპოვებაზე ზრუნვა ახლა ბაზელში, გელზენკირხენსა და ბუქარესტში მოგვიწევს.

პირველივე მატჩში წაგების მიუხედავად, ისევ მიზნად ვისახავთ ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავებას და შემდეგ ეტაპზე გასვლას. ამისთვის თავს არ დავზოგავთ. დარწმუნებული ვარ, მიზანს მივაღწევთ.

ვფიქრობ, პირველ ნახევარში ნაჩვენები თამაშის მიხედვით, სამართლიანი ანგარიში 0:0 იქნებოდა, მაგრამ სასტვენამდე გატანა მაინც მოვასწარით.

ჩვენც, როგორც გულშემატკივრებმა, დაღონებულებმა დავტოვეთ სტადიონი, მაგრამ ხვალიდან ვარჯიშს უნდა შევუდგეთ და მომავალი მატჩებისთვის მოვემზადოთ.

როგორ მივაღწევთ წარმატებას? თავდაუზოგავი შრომით და იმის რწმენით, რომ რასაც ვაკეთებთ, სწორად ვაკეთებთ, კოლექტივის შიგნით თვითკრიტიკულობითა და ერთსულოვნებით.

„ფულჰემთან" მომავალ მატჩში დადებითი შედეგის მიღწევას შევეცდებით, რაც მოთამაშეებს თავდაჯერებას შემატებს. ჩემპიონთა ლიგის მომავალ შეხვედრაში კი დაკარგულის ანაზღაურებას შევეცდებით", - სამოქმედო გეგმაზე საუბრობს მოურინიო.

## ლოპესს „ზენიტთან" მოგება ყბის მოტეხვად დაუჯდა

ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩში მადრიდის „ატლეტიკომ" სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს" 3:1 მოუგო.

მატჩის შემდეგ „ზენიტის" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ „ატლეტიკოს" დიდი გუნდი უწოდა, მასპინძელთა დამრიგებელი დიეგო სიმეონე კი შედეგით კმაყოფილია: „გუნდში წელიწად-ნახევრის წინ მოვედი და შემიძლია ვთქვა, რომ გუნდი გაიზარდა და ახლა ძალიან კონკურენტუნარიანია. ყველამ იცის, რომ თითოეული მათგანი საჭიროა საერთო წარმატებისთვის".

«ზენიტთან" შეხვედრა დიდხანს ემახსოვრება მადრიდელთა თავდამსხმელს ადრიან ლოპესს - მას ყბა გაუტყდა. ტრავმა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ სასწრაფო ოპერაცია გახდა საჭირო.

# ვიქტორიანელი

ზურა თალაკვაძე

ვიქტორ სანიკიძემ ევროპის ჩემპიონატზე 5 თამაში მიიღო. იქვე, იგორ კოკოშკოვის უბანში ფაჩულია და შენგელია რომ დაენახა, საქართველოს ნაკრების მოძრავი ფორვარდი მეტ გარჩევაში გაიტესტებოდა. და სანიკიძემ ამ ნაკრების ამ რუსტერით მაქსიმუმი მიიღო. სანიკიძე ფარავდა ბევრს და სანიკიძე ერთში ბევრი იყო. როგორც ის ლეგიონი, რომელიც ერთი და ბევრია. ვიკა საქართველოს ნაკრების ლეგიონი, კოკოშკოვის გუნდის ყველაზე შეუცვლელი პერსონა იყო. და სანიკიძეს ცოტა არ გაუმართლა. საქართველოს ნაკრებსაც ცოტა არ გაუმართლა. ზაზა ფაჩულიასაც. თოკოსაც. ჩვენც. საუკეთესო რუსტერით ხორვატიას ყურს ავუწევდით და ეს ხორვატებმაც იციან. ანტე ტომიჩი დაიღალა გიო შერმადინთან და ფაჩულიასთან წავიდოდა უთანასწორო რესტლინგი. და ამ რესტლინგში ფავორიტი ზაზა არის. მარკ გასოლის გარდა, ზაზა ამ ევროპის ჩემპიონატზე, ყველა ცენტრთან ფავორიტი იქნებოდა. რომ ყოფილიყო. და კოკოშკოვმა მიიღო უნივერსალი ვიკა. სანიკიძემ შეასრულა.

ფორვარდები იცვლებიან. ყველა მესამე ნომერი ვერ იქნება ლებრონი და ყველა მესამე ნომერი არ უნდა იყოს ლებრონი. ყველა მესამე ნომერი არ გლის უბურთოდ გადაადგილებით (კარმელო ენტონი) და ყველა მესამე ნომერი შეუცვლელად არ თამაშობს (ლუოლ დენგი). უნივერსალიზმი მოდაშია და უნივერსალიზმით იგებ. ვიკა უნივერსალური უნივერსალია. ფარავს მესამე ნომრებს. მარტივად ფარავს. ადის მეოთხეზე და თუ მწვრთნელი თვალს ჩაუკრავს, ევროდანკანებს იჭერს. სანიკიძე ასწრებს მეორე ნომერზე ჩამოსვლას და სისწრაფით, აგრესიული, ბრიუს ბოუენის დაცვით გტეხავს, დისკომფორტს გიქმნის. და კოკოშკოვი ვიკასგან ამას სტაბილურად იღებდა. სანიკიძეც სტაბილური ტიპია. ცუდი, ვიკასთვის არადამახასიათებლად პასიური საკლუბო სეზონის შემდეგ, ჩვენი ბიჭი დაიქოქა.



ვიქტორ სანიკიძე

სტენლი კუბრიკის ერთი პერსონაჟივით. და სანიკიძემ ნდობაში ნდობა დატოვა. თუ სანიკიძე სვლაზეა, მწვრთნელი ერთი მოთამაშით ნაკლებზე ნერვიულობს. სლოვენიაში კოკოშკოვი ვიკაზე არ ფიქრობდა. კოკოშკოვზე და ნაკრებზე ვიკა ფიქრობდა.

ვიკამ ხუთიდან ოთხ თამაშში 10 და მეტი ქულა დაიტოვა. და ესპანეთთან ბოლო გარჩევა არ ითვლება. იქ ესპანელები არავის არ თვლიდნენ და ესპანეთი სხვა ლიგაა. ვიკამ მარკ გასოლის ტერიტორიიდან 8 ქულა, 4 მოხსნა და ბევრი მოგონება წამოიღო. მარკი ლებრონის ლიგაში საუკეთესო დამცველი იყო. ნუ, იდეაში ალბათ, არ იყო და დაასახელეს. სანიკიძემ, გიო შერმადინმა და ბურჯანაძემ გასოლის თერაპია მიიღეს. გამოადგებათ.

და იყო კარგი 31 წუთი პოლონეთთან. თავისი 23 ქულით, 6 მოხსნით და აგრესიული დაცვით. იქ გორტატები და გორტატების ძმაკაცები ვერ ცელქობდნენ. ვიკამ პოლონეთს სურვილი და ლტოლვა წაართვა. სანიკიძის კალათბურთიც ლტოლვაა. სანიკიძე ახალი გენერაციის ჯოკერია.

ხორვატაიასთან ბიჭმა 15 ქულა გაშანსა. 7 მოხსნასთან ერთად. ხორვატიასთან მოსაგები იყო და ტომიჩმა გაგვიტეხა. ხორვატიასთან მოსაგები იყო და ტომიჩმა გვაწყენინა. ვიკაც ნაწყენი იყო. და პროცესში, 5/2 სამიანი გამოიყენა. სანიკიძე რამდენიმე ეპიზოდში სახიფათო ტიპი იყო. ძალიან სახიფათო და მოურიდებელი.

სლოვენიასთან მსაჯებმა აიშვეს. სლოვენიასთან მსაჯებმა დონი ბრასკოს საუბარი შეუშვეს და სლოვენიასთან ვიკამ 17 ქულას 13 მოხსნა დაუსვა. სანიკიძე და კოკოშკოვის ჭადრაკი მსაჯებმა გადაფარეს.

და რჩება კიდევ ერთი ტესტი. ჩეხეთთან. სადაც დაღლილები და უემოციოდ დარჩენილები ვართ. სადაც ჩეხეთმა გადაგვხსნა. სადაც ჩეხებმა ვიკაც გააჩერეს. გაჩერებული ვიკა გააჩერეს. რთულია ევრობასკეტზე არ დაიღალო, როდესაც უკვე დაღლილი ხარ. და სანიკიძემ ტესტი 10 ქულით და 5 მოხსნით გადაფარა.

საშუალო ვიკა - **14.6** ქულა. საუკეთესო შედეგი საქართველოს ნაკრებში. **7.0** მოხსნა. საუკეთესო შედეგი საქართველოს ნაკრებში შერმადინის შემდეგ. და სანიკიძემ მოუმატა. ყველაფერში. ახალი ვიკა ასრულებს.

ვიკა ესპანეთში, სარაგოსაში წავიდა. შერმადინიც იქ დახელფასდება. და ვიკა მოუმატებს.

ამ გენერაციის ფორვარდები იცვლებიან. ყველა მესამე ნომერი ვერ იქნება ლებრონი და ყველა მესამე ნომერი არ უნდა იყოს ლებრონი. ყველა მესამე ნომერი არ გლის უბურთოდ გადაადგილებით (კარმელო ენტონი) და ყველა მესამე ნომერი შეუცვლელად არ თამაშობს (ლუოლ დენგი). უნივერსალიზმი მოდაშია და უნივერსალიზმით იგებ. ვიკა უნივერსალური უნივერსალია. ფარავს მესამე ნომრებს. მარტივად ფარავს. ადის მეოთხეზე და თუ მწვრთნელი თვალს ჩაუკრავს, ევროდანკანებს იჭერს. სანიკიძე ასწრებს მეორე ნომერზე ჩამოსვლას და სისწრაფით, აგრესიული, ბრიუს ბოუენის დაცვით გტეხავს, დისკომფორტს გიქმნის. და კოკოშკოვი ვიკასგან ამას სტაბილურად იღებდა. სანიკიძეც სტაბილური ტიპია. ცუდი, ვიკასთვის არადამახასიათებლად პასიური საკლუბო სეზონის შემდეგ, ჩვენი ბიჭი დაიქოქა. სტენლი კუბრიკის ერთი პერსონაჟივით. და სანიკიძემ ნდობაში ნდობა დატოვა. თუ სანიკიძე სვლაზეა, მწვრთნელი ერთი მოთამაშით ნაკლებზე ნერვიულობს. სლოვენიაში კოკოშკოვი ვიკაზე არ ფიქრობდა. კოკოშკოვზე და ნაკრებზე ვიკა ფიქრობდა.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM
30 SEPTEMBER
Tbilisi, Georgia
20:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA
IC MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX PROM
OUTdooR.ge
MSG
ADSSPRINT
TBILISI MALL
McCANN TBILISI
MYVIDEO.GE
EGO
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink
LUXURY
IMPERIAL PALACE HOTEL
KAMOBLOG.TV
FASHION BLOG .AM